საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

MOD 4 22 00242549

01.03.2022

ჟურნალისტ თეკლა ადამიას

ელ.ფოსტა: foi+request-407-adbbd8d9@askgov.ge

ქალბატონო თეკლა,

თქვენი 2022 წლის 17 თებერვლის №193576 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ყოველწლიურად ადგენს ანგარიშს თავდაცვის სამინისტროს და მის სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის (ინფორმაციის თავისუფლება) მოთხოვნათა შესრულების შესახებ. აღნიშნული ანგარიშები მოიცავს თქვენ მიერ მოთხოვნილ მონაცემებს და ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს საკანონდებლო მაცნეში, ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული საჯარო ინფორმაციის პორტალის შემდეგ მისამართზე - https://mod.gov.ge/ge/public/page/8.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე 10 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ გაცემული პასუხების რაოდენობას, აღნიშნული ფორმით სტატისტიკური მონაცემები სამინისტროში დამუშავებული არ არის.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი
ნათია ჯალიაშვილი

0112 ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. 20; ტელ.: (+995 032) 2 543535; ელ-ფოსტა mod@mod.gov.ge